„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

18 მაისი 2026

ჯემალ ყურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

სალიცენზიო შეჯიბრება 3 სარეიტინგო ჩემპიონატისთვის 2014-2015 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის (დასავლეთ საქართველო)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

28 ივნისი

2026

წყალტუბო

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოისტთა შერჩევა უმცროს ჭაბუკთა სარეიტინგო ტურნირებისთვის.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად და წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2014-2015 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები დასავლეთ საქართველოდან, რომელთაც არ აქვთ სარეიტინგო ჩემპიონატის ლიცენზია და ჩაბარებული აქვთ წინასწარი გამოცდები ძიუდოს საწყისებში.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირად მწვრთნელებს საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხული ჰქონდეთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოდგენილი (ან გამოგზავნილი ელექტრონულად gjf.registr@gmail.com) ფედერაციაში, რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- დებულება საწევროს შესახებ
- კალენდარი
- საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
- საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
- მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - BAGAGE22
  მიმღების ანგარიშის ნომერი - GE55BG0000000121179301

IV. შეჯიბრების დრო, ადგილი, რეგისტრაცია, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 28 ივნისს წყალტუბოში სპორტის სასახლეში, რუსთაველის 6.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 27 ივნისი, წასვლის დღე 29 ივნისი. შეჯიბრების დასაწყისი 10:00* (შესაძლებელია ცვლილება).

რეგისტრაცია

- პირადმა მწვრთნელებმა (კლუბებმა) საკუთარი ძიუდოისტები უნდა დაარეგისტრირონ ელექტრონულად 20 ივნისამდე.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან https://gjf.ge/geo/calendar/georgia სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. რეგისტრირებული ძიუდოისტები ავტომატურად აისახებიან მონაწილეთა სიაში ვებგვერდზე https://portal.judomanager.com/gjf . რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 2 წუთი (სუფთა დრო). დამატებითი დრო განისაზღვრება „ოქროს ქულამდე“.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში.
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 9 წონით კატეგორიაში:
  -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, +60კგ.
- სარეიტინგო ჩემპიონატისთვის გამოვლინდება წონით კატეგორიაში 2 ძიუდოისტი.

VI. აწონვა

აწონვა ჩატარდება შეჯიბრების წინა დღეს წყალტუბოში სპორტის სასახლეში 17:00 – 18:00 საათებში;

- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი - პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან და წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი/ფაქსი 0322516466;
ზურაბ უსუფაშვილი 577994407, ტარიელ გველესიანი 577654963;
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე